შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი და მას დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (საქმე Nსსდ-24-19)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ .თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 069/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 21 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ .თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის მარტში ადვოკატ, ზ. თ.-სთან, ზეპირი ფორმით, გააფორმა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ადვოკატმა იკისრა ვალდებულება შეეტანა სარჩელი სასამართლოში და წარმომადგენლობა განეხორციელებინა სამივე ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული მომსახურების მისაღებად, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის თავდაპირველი შეთანხმებით გადასახდელ თანხად განისაზღვრა 300 (სამასი) ლარი. საჩივრის ავტორი წარმოდგენილ განცხადებაში მიუთითებს, რომ საბოლოოდ, მის მიერ საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილმა თანხამ 820 (რვაას ოცი) ლარი შეადგინა. 2018 წლის 21 ივნისს, საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაზე, ვ .თ.-მ დააზუსტა ადვოკატისთვის გადახდილი

თანხის ოდენობა, კერძოდ მიუთითა, რომ ზ. თ.-სთვის გადახდილმა თანხამ 860 (რვაას სამოცი) ლარი შეადგინა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მისი ინტერესები უნდა დაეცვა სამოქალაქო საქმეზე, თუმცა ადვოკატს არანაირი მოქმედება არ განუხორციელებია კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

1.4 2018 წლის 05 ნოემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დაადასტურა ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ პრეტენზიების არსებობა და მოითხოვა ადვოკატისთვის გადაცემული თანხის დაბრუნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა, ზ. თ.-მ 2018 წლის 21 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ვ .თ.-ს იცავდა როგორც სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე მის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზეც წარმოადგენდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან ურთიერთობა დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივრის ავტორთან შეხვედრისას. კერძოდ, ვ .თ. სასამართლოს დერეფანში გამოელაპარაკა ზ. თ.-ს და აუხსნა, რომ ეძებდა ადვოკატს. ზ. თ.-მ განუმარტა, რომ ის ახორციელებდა საადვოკატო უფლებამოსილებას და მას მხოლოდ საქმის გაცნობის შემთხვევაში შეეძლო მისი დახმარება, რა მიზნითაც საჩივრის ავტორს სთხოვა მის ხელთ არსებული მასალების გადაცემა. ამასთან, ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ გადაცემულ დოკუმენტებს გაეცნობოდა და საქმის აღების შემთხვევაში ვ .თ.-ს მისთვის 200 (ორასი) ლარი უნდა გადაეხადა.

2.3 2018 წლის 05 ნოემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა უარყო ვ .თ.-სგან 860 (რვაას სამოცი) ლარის აღების ფაქტი. ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა თავდაპირველად გადაიხადა 200 (ორასი) ლარი, ხოლო შემდეგ 50 (ორმოცდაათი) ლარი. ადვოკატმა კლიენტისგან აღებული თანხიდან 45 (ორმოცდახუთი) ლარი გადაიხადა კლიენტის საქმეზე მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სამოქალაქო საქმე, სადაც ვ .თ. წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეს განიხილებოდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. ზ. თ.-ს ჩართვა კი მოხდა აღნიშნული საქმის შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში მასზე წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით. ვ .თ.-მ მას მინდობილობით მიანიჭა სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება, რის შემდეგაც ადვოკატი კლიენტთან ერთად ჩავიდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში და გაარკვია, რომ ვ .თ.-ს სარჩელის საფუძველზე დაწყებული იყო სამოქალაქო წარმოება. ზ. თ.-მ ურჩია კლიენტს არსებული სარჩელის გამოხმობა და ახალი სარჩელის შეტანა, ვინაიდან არასწორად იყო მოთხოვნა დაყენებული, რაზედაც კლიენტი დათანხმდა. ადვოკატმა შეიტანა ახალი სარჩელი, რომელზედაც სასამართლომ დაადგინა ხარვეზი - ქონების შეფასების მიზნით აუდიტის დასკვნის წარუდგენლობის გამო. აღნიშნული დასკვნის წარდგენა დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებთან, რომლის გადახდაზეც ვ .თ.-მ უარი განაცხადა, ხოლო ხარვეზის შეუვსებლობის საფუძველზე სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელება მოხდა ასევე სისხლის სამართლის საქმეზე. კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ვ .თ. იყო ოჯახურ ძალადობის მსხვერპლი, ადვოკატმა განცხადება შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუმცა ამის შემდეგ მას ეცნობა რომ მსგავს დავაზე გამოძიებას აწარმოებდა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა. აღნიშნულ წარმოებაში ზ. თ. წარმომადგენლის სახით ჩაერთო.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურიდან მიუვიდა წერილობითი პასუხი, რომლის მიხედვით გამოძიება შეწყდა, ვინაიდან არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს კლიენტისთვის არ მიუწოდებია, რაც მათ შორის არსებული დაძაბული ურთიერთობით ახსნა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი, მას აქვს სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება. ამასთანავე, ადვოკატს არ უთქვამს კლიენტისთვის, რომ სრულად აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს, ვინაიდან სამოქალაქო საქმეზე მხოლოდ კოკრეტულ სიტუაციაში გაუწია მას დახმარება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2018 წლის 21 ივნისს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ განმარტა, რომ ზ. თ.-ს ვალდებულების შესახებ - ვ. თ.-სთან გასაუბრების დროს განემარტა მისი სპეციალიზაციის შესახებ, ვინაიდან სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან სავარაუდოდ დარღვეულია კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

3.3 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის განმარტების საფუძველზე, რომლის მიხედვით მან ჩაიბარა ვ .თ.-ს საქმეზე პროკურატურის წერილობითი პასუხი, თუმცა ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებული დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე საჩივრის ავტორს ინფორმაცია არ მიაწოდა - იმსჯელა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პასუხის მიღების დროს მხარეთა შორის საადვოკატო ურთიერთობა შეწყვეტილი იყო, ადვოკატი ვალდებული იყო აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებინა საჩივრის ავტორისთვის. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ, განხილვის სტადიაზე ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის დადასტურების შემთხვევაში დარღვეული იქნება კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

3.4 საპროცესო კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ საქმის ბოლომდე მიყვანამდე, ხოლო ადვოკატს მიღებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი წინასწარ, საქმის წარმოების ბოლომდე მისაყვანად.

საპროცესო კოლეგიამ ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატს ვ .თ.-ს საქმის წარმოება არ დაუსრულებია და სავარაუდოდ ადვოკატმა დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის სხდომა გაიმართა 2018 წლის 05 ნოემბერს, სადაც ადვოკატმა გამოთქვა მორიგების სურვილი საჩივრის ავტორთან, რასაც ვ .თ. არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სურს კომისიამ გააგრძელოს საქმის განხილვა, ვინაიდან ადვოკატის მიმართ კვლავ აქვს პრეტენზიები. განხილვის კოლეგიამ აღნიშნული სხდომა გადადო, ვინაიდან საჩივრის ავტორთან ვ. თ.-სთან კომუნიკაციის დამყარება იყო რთული, რადგან მას ძალიან ცუდად ესმოდა. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ დაავალა მას წარმომადგენლის მოყვანა, რომელიც დაეხმარებოდა კომისიის მიერ მიცემული შეკითხვების გაგებასა და კომისიისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაში.

4.2 განხილვის კოლეგიამ სხდომა ჩანიშნა 2018 წლის 6 დეკემბერს 13:00 საათზე, რომელზეც ეცნობა მხარეებს. 2018 წლის 05 დეკემბერს ეთიკის კომისიის იურისტს ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა ადვოკატი ზ. თ., რომელმაც განმარტა, რომ აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, უჭირს გადაადგილება და საჭიროებს ოპერაციას, შესაბამისად ვერ შეძლებს განხილვის კომისიის სხდომაზე გამოცხადებას და სურვილი გამოთქვა განხილვის სხდომის გადადების თაობაზე (ს.ფ. 25). განხილვის კოლეგიამ სხდომა გადადო 2019 წლის 29 იანვარს 15:00 საათზე, რაზედაც ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა ადვოკატ ზ. თ.-ს ტელეფონის საშუალებით 2019 წლის 22 იანვარს და აცნობა ჩანიშნული სხდომის თარიღი. სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა განმარტა, რომ უნდა გაიკეთოს თვალზე ოპერაცია, რის თაობაზეც ელოდება სახელმწიფო დაფინანსების გადაწყვეტილებას, შესაბამისად, არ იცის შეძლებს თუ არა სხდომაზე გამოცხადებას (ს.ფ. 27). განხილვის კოლეგიამ კვლავ გადადო 2019 წლის 29 იანვარს ჩანიშნული სხდომა და ეთიკის კომისიის აპარატს დაავალა ადვოკატთან დაკავშირება, რათა მას კომისიისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისთვის სასურველი თარიღების შესახებ. ადვოკატმა გამოთქვა სურვილი სხდომა ჩატარებულიყო 25, 26 ან 27 თებერვალს (ს.ფ. 29). განხილვის კოლეგიამ სხდომა ჩანიშნა 2019 წლის 25 თებერვალს 14:00 საათზე, რომელზეც დისციპლინური საქმის მონაწილე მხარეები არ გამოცხადდნენ. 2019 წლის 25 თებერვალს 10:32 საათზე, ადვოკატმა ზ. თ.-მ ეთიკის კომისიის იურისტს ტელეფონის საშუალებით აცნობა, რომ ვერ შეძლებს ამავე დღეს გამართულ სხდომაზე გამოცხადებას და სურს კომისიამ მისი მოსმენის გარეშე განიხილოს საქმე (ს.ფ. 30). განხილვის კოლეგიამ გადაწყვეტილების გამოცხადება გადადო 2019 წლის 23 აპრილს.

4.3 განხილვის კომისიამ იმსჯელა საპროცესო კოლეგიის ეტაპზე საჩივრის ავტორისა და ადვოკატის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების ფარგლებში და დაადგინა უდაო ფაქტები:

4.3.1 2018 წლის მარტის თვეში ვ .თ.-სა და ზ. თ.-ს შორის შედგა შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.3.2 ადვოკატი ზ. თ. არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი. *განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

- სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებ. გვერდზე www.gba.ge გადაწყვეტილების მიღების დროისთვის გამოქვეყნებული ადვოკატთა ერთიანი სია.

4.3.3 ადვოკატ ზ. თ.-ს რჩევით ვ .თ.-მ გაიხმო სარჩელი, რომელიც ვ .თ.-ს მიერ შეტანილი იქნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში ზ. თ.-ს საქმეში ჩართვამდე. ხოლო, ზ. თ.-ს წარმომადგენლობით ვ .თ.-ს მიერ შეტანილი იქნა ახალი სარჩელი, რომელზეც სასამართლომ დაადგინა ხარვეზი. მოსარჩელის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის საფუძლით სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ადვოკატის განმარტება.

4.3.4 ზ. თ.-მ ვ .თ.-ს მიმართ ოჯახურ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში. *განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

- ადვოკატის განმარტება.

4.3.5 ადვოკატმა ზ. თ.-მ მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურიდან მიიღო წერილობითი პასუხი, რომლის მიხედვით გამოძიება შეწყდა, ვინაიდან არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. აღნიშნული წერილობითი პასუხი ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ გადასცა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ადვოკატის განმარტება.

4.4 განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი სადაო ფაქტები:

4.4.1 საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, რადგან საჩივრის ავტორი საჩივარში არ აფიქსირებს ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის თაობაზე კლიენტის ინფორმირებას, თუმცა განმარტავს, რომ ადვოკატმა იკისრა ვალდებულება სამოქალაქო დავაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განეხორციელებინა სამივე ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი, მას აქვს სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლება. ამასთანავე, მას არ უთქვამს კლიენტისთვის, რომ სრულად აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს, რადგან სამოქალაქო საქმეზე მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა გაეწია მისთვის დახმარება.

4.4.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია პოტენციურ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალიზაციის თაობაზე და აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეთიკის კომისიაში წარმოეშობა თავად მას.

4.4.3 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ზ. თ.-მ არ დაადასტურა კლიენტისთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდების ფაქტის არსებობა. მან მხოლოდ მიუთითა, რომ მიუხედავად მისი სპეციალიზაციისა მას ჰქონდა უფლება სამოქალაქო დავაში პირველი ინსტანციის სასამართლოში განეხორციელებინა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ეყრდნობა მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესს და მხარეთა ახსნა-განმარტებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. თ.-მ არ მიაწოდა ვ .თ.-ს ინფორმაცია სამოქალაქო სპეციალიზაციის არქონის თაობაზე.

4.4.4 განხილვის კოლეგია სადაოდ მიიჩნევს, ვ .თ.-სა და ადვოკატ ზ. თ.-ს შორის შეთანხმების არსებობას სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის შესახებ, რადგან ადვოკატი აღნიშნულ გარემოებას უარყოფს. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქმეში არსებობს მხოლოდ დისციპლინური საქმის მონაწილე მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები, რომელიც არ დასტურდება მტკიცებულებებით (საქმეში არ არის წარმოდგენილი მინდობილობა ან სხვა მტკიცებულება), ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის ვალდებულების აღება არ დასტურდება.

4.4.5 საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ მიღებული ჰონორარის ოდენობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ ადოკატისთვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 860 (რვაას სამოცი) ლარი, ხოლო ადვოკატ ზ. თ.-ს განმარტებით მან კლიენტისგან აიღო 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, საიდანაც 45 (ორმოცდახუთი) ლარი მოხმარდა სატრანსპორტო ხარჯებს.

4.4.6 საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან აღებული ჰონორარის ოდენობის დასამტკიცებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დისკი, რომელზეც ჩაწერილია ადვოკატ ზ. თ.-ს სატელეფონო საუბარი. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ვინაიდან ადვოკატი ზ. თ. აღნიშნული სატელეფონო ჩაწერის თაობაზე ინფორმირებული არ იყო ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს და განხილვის კოლეგია ვერ დაეყდნობა მას. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ კლიენტისგან აღებული ჰონორარის ზუსტ ოდენობას. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ვ .თ.-ს განმარტება ადვოკატ ზ. თ.-სთვის 860 (რვაას სამოცი) ლარის გადაცემის თაობაზე არ დასტურდება.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ზ. თ.-მ, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა, სამოქალაქო დავებში ვ .თ.-ს ინტერესების დაცვის დროს, დაარღვია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) - ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 - ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

6.2 ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებები კლიენტის მიმართ წარმოეშობა მასთან ურთიერთობის დაწყებისას, მას შემდეგ რაც მათ შორის დაიდება შეთანხმება - წერილობითი ან ზეპირი ფორმით. შეთანხმების შემდეგ ადვოკატი ვალდებულია კლიენტს საადვოკატო მომსახურება გაუწიოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს კანონით დადგენილი ყველა საშუალება, რითაც უზრუნველყოფს კლიენტის სათანადო წესით დაცვას.

6.3 ეთიკის კომისიის დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სამართლის დარგში სპეციალიზაციის ქონის გარეშე, ადვოკატის მომსახურება არ ითვლება კლიენტის კვალიფიციურ მომსახურებად: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით და მის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა კლიენტი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში, რაც ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელების ერთ-ერთი საფუძველია. „ეთიკის კომისია არ იხილავს, რამდენად კვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა ადვოკატმა კონკრეტულ შემთხვევაში. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს თავად იმ ფაქტს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ქმნის იმის რისკს, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი“(ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე №017/11).

6.4 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ზ. თ. არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე მოქმედი ადვოკატი, რომელმაც აიღო ვალდებულებულება დაეცვა ვ .თ.-ს ინტერესები სამოქალაქო დავაში. ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა, ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ ვ .თ.-სთვის სამოქალაქო სპეციალიზაციის არქონის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საჩივრის ავტორი წარმოადგენს ხანდაზმულ ადამიანს, ცხოვრობს ქალაქგარეთ, არ აქვს წვდომა საინფორმაციო საშუალებებთან, ხოლო ადვოკატმა არ განუმარტა მისი სპეციალიზაცია და არასათანადო სპეციალიზაციით გამოწვეული რისკები, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ვ .თ.-ს არ ჰქონდა საშუალება გაეაზრებინა მისი ინტერესების დაცვის დროს გარკვეული რისკები და საფრთხეები, რომელიც შესაძლოა გამოეწვია ადვოკატის არასათანადო სპეციალიზაციას. შესაბამისად, ადვოკატმა ზ. თ.-მ დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინიდისერი წარმომადგებლობის ვალდებულება.

6.5 განხილვის კოლეგია ასევე მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მ ვ .თ.-სთვის პროკურატურისგან მიღებული წერილობითი ინფორმაციის მიუწოდებლობით დაარღვია ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:

,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

6.6 ადვოკატის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად მიწოდების ვალდებულება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქმის მიმდინარეობას, ასევე ინფორმაცია მიწოდებული უნდა იყოს კლიენტისათვის გასაგებ ენაზე. კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან.

6.7 „ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში" (ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №074/10).

6.8 კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის თაობაზე თავად ადვოკატმა ისაუბრა 2018 წლის 21 ივნისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც განმარტა, რომ ჩაიბარა პროკურატურის წერილობითი პასუხი და ამის თაობაზე, მხარეებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. იქიდან გამომდინარე, რომ განხილვის კოლეგიას არ მიეცა ადვოკატთა გასაუბრების საშუალება, განხილვის კოლეგია, მხედველობაში იღებს ადვოკატის მიერ საპროცესო ეტაპზე მიცემულ ზეპირ განცხადებას და მას უდავო გარემოებად მიიჩნევს, რაც მიუთითებს ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საქმის წარმოების პროცესში მიღებული ინფორმაციის მიუწოდებლობით დამდგარ გადაცდომის ფაქტზე.

6.9 განხილვის კოლეგიამ მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი, რომლის მიხედვით:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

6.10 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს მიღებული ჰონორარიდან გამოუმუშავებელი თანხა, რაც გამოითვლება კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად

გადახდილი შეთანხმებული ჰონორარიდან მისაღები გასამრჯელოსა და გაწეული ხარჯების გამოკლებით.

6.11 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგიის მიერ ვერ დადგინდა მხარეებს შორის გასაწევი იურიდიული მომსახურების მოცულობა და მომსახურების სანაცვლოდ შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასურის ოდენობა. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში ვერ იმსჯელებს ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევაზე.

6.12 ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი).

6.13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.14 ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის დარღვევით განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით მოიცავს, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენას (ეთიკის კომისიის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №035/13, ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №125/13), მაშინ როდესაც სახეზეა მხოლოდ სპეციალიზაციის დარღვევით მომსახურება, ასევე დისციპლინური სახდელის დაკისრებას (ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №017/11; ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №030/11), მაშინ როდესაც სპეციალიზაციის დარღვევასთან ერთად ადვოკატის მიერ დარღვეულია სხვა ეთიკური ვალდებულებები.

6.15 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ ჩადენილია 1-ზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამ პირობებში ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

6.16 ეთიკის კომისიამ ადვოკატისთვის სახდელის – გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული გარემოებებით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ და პროპორციულად ჩათვალა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე,

მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №069/18 ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ზ. თ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/